დამტკიცებულია:

შპს ,,პროფიუნიტის“ დირექტორის

2020 წლის 01 სექტემბრის # 30/20 ბრძანებით

ცვლილება განხორციელებულია:

შპს ,,პროფიუნიტის“ დირექტორის

2025 წლის 15 სექტემბრის # 60/25 ბრძანებით

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებები, უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

ჭიათურა

2025წ

1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს ,,პროფიუნიტი" (შემდგომში-კოლეჯი) იცავს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა (შემდგომში სტუდენტთა/მსმენელთა), უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, უქმნის მათ უსაფრთხო გარემოს, უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებით ხარისხიანი განათლების მისაღებად. ზრუნავს სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე.

2. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი

2.1. **პროფესიული სტუდენტი** არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

2.2. **მსმენელი** არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა/ უფლებები

3.1. პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა უფლებები:

კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესებით პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს:

ა) უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში;

ბ) მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

გ) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

დ)საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

ე) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

ვ) განახორციელოს მისთვის ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

ზ) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

თ) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

ი) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს. იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით/იურიდიული პირის მიერ დადგენილი წესით ან/და შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.

კ) პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

ლ) ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
მ) მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
ნ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;
ო) მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებაში;
პ) მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში;
ჟ) გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება, შეფასების პროცედურის დარღვევა.
რ) სწავლა გააგრძელოს იმ მოდულზე/მოდულებზე, რომლის დაშვების წინაპირობებიც არ აქვს დარღვეული.
ს) პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
ტ) დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები(სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, მათ შორის ეთიკის კოდექსი და სხვ;
უ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;
ფ) შეასრულოს კოლეჯთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
ქ) დაწესებულების მიერ განსაზღვრული სასწავლო განრიგით დაესწროს საკონტაქტო საათებს და შეფასების საათებს;
ღ) დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;
ყ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას;
შ) იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შეურაცხყოს კოლეჯის პრესტიჟი და შეასრულოს შიდა ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული მოვალეობები.

4. სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;

4.1. სტუდენტთა/მსმენელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად დაწესებულებაში შექმნილი და გამოყენებულია შემდეგი მექანიზმები:

პრევენციული - დაწესებულება აცნობს და განუმარტავს სტუდენტებს/მსმენელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე შიდა ნორმატიულ აქტებს . დაწესებულება ვალდებულია მუდმივად აწარმოონ სტუდენტებთან კონსულტაციები და ხელი შეუწყონ მათი ცნობიერების ამაღლებას მათი უფლებების შესახებ.

განცხადება/საჩივრის განხილვა - დაწესებულების იურისტი (დირექტორთან ერთად) სტუდენტის/მსმენელის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ვალდებულია მიიღოს სტუდენტის/მსმენელის ნებისმიერი განცხადება და მოახდინოს მასზე შესაბამისი რეაგირება;

სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა - იურისტი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე) უფლებამოსილია შეისწავლოს სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტები;

რეაგირება -იურისტი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე) ვალდებულია მოახდინოს სწრაფი და ადეკვატური რეაგირება გამოვლენილ დარღვევის ფაქტებზე;

4.2. კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების საწყის ეტაპზე ან /და ყველა ეტაპზე, როცა სასწავლო გარემო იცვლება, ამის უზრუნველსაყოფად ხორციელდება: გაცნობითი სახის შეხვედრების ჩატარება მიღებულ სტუდენტთა ყველა ნაკადთან, სადაც შედგება პრეზენტაციები კოლეჯის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, შინაგანაწესის მოთხოვნების , სასწავლო პროცესის თავისებურებების, ეთიკის ნორმების,

უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ; სასწავლო პროცესში ჩართული პირები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ან შესთავაზონ სტუდენტს შესაბამისი სერვისები/მხარდაჭერა საჭიროების მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში.

4.3. სტუდენტთა/მსმენელთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ ვადებში ხორციელდება. სერვისების გაწევის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელისთვის თავიანთი უფლებებისა ვალდებულებების გაცნობის წესები;

5.1. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს თავის უფლება-მოვალეობებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს აცნობს ორგანიზებულ შეხვედრებზე პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხების ფორმით;

5.2. გაცნობითი და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზება ხდება სტუდენტთა/მსმენელთა ყოველ ახალი ნაკადთან, სადაც სტუდენტებს/მსმენელებს მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია თავიანთი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებების, კანონიერი ინტერესებისა და ვალდებულებების შესახებ.

5.3. შეხვედრის ორგანიზებასა და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს, სასწავლო პროცესებისა და პროგრამების კოორდინატორს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს;

6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აკადემიური მხარდაჭერის ღონისძიებები;

6.1. პროფესიული სტუდენტ/მსმენელი მუდმივად იღებს დაწესებულებისაგან სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

6.2. განმავითარებელი შეფასების ეტაპზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დაწესებულება ინდივიდუალურად ახდენს სტუდენტის/მსმენელის ინფორმირებას, როგორც ზეპირი გასაუბრებისა და კონსულტაციის გზით, პრობლემისა და დამატებითი საკითხების არსებობის შემთხვევაში დაწესებულება (პროფესიული მასწავლებელი, სასწავლო პროცესის და პროგრამების კოორდინატორი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, დირექტორის მოადგილე) პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელებთან გადიან დამატებით კონსულტაციას, მომართვიდან ორი სამუშაო დღის ვადაში ზეპირი ან/და ელექტრონული კონსულტირების გზით;

6.3. სწავლის საწყის და შემდგომ ეტაპებზე, როდესაც თუნდაც ერთი პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის სასწავლო გარემო იცვლება კოლეჯი გაცნობითი ხასიათის შეხვედრების ორგანიზებით, დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ადაპტაციას ახალ სასწავლო გარემოსთან;

6.4. კოლეჯი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებს რაც მათ ველდებულებებს, სასწავლო პროცესის თავისებურებებს, ქცევისა და ეთიკის წესებს, უსაფრთხოების წესებს და სხვა საკითხებს ეხება რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შემხებლობაშია მათთან.

7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებები;

7.1. კოლეჯი იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს გონივრულ და კანონმდებლობითა და მარეგულირებელი აქტებით დადგენილ ვადაში გაუწიოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა, რაც გულისხმობს:

- სტუდენტისათვის/მსმენელისათვის საჭირო შინაარსის ცნობის გაცემას (მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღე),
- დიპლომის გაცემას;
- სერთიფიკატის გაცემას;
- შიდა და გარე მობილობის პროცესის ხელშეწყობას გონივრულ ვადაში,
- მიღებული განათლების აღიარებას და სხვა.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ფინანსური მხარდაჭერა

8.1. კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის განცხადებებს სწავლის საფასურის გადახდის/დამატებითი ფასიანი მომსახურებების საფასურის გადავადების თაობაზე, ან ნაწილ-ნაწილ გადახდაზე.

მუხლი 9. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი

9.1.კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელება, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებს.

9.2. სტუდენტური/მსმენელების ინიციატივების/პროექტების პრიორიტეტული მიმართულებებია:

საგანმანათლებლო აქტივობები;

კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;

სპორტული ღონისძიებები;

შემეცნებითი ღონისძიებები;

9.3. ამ ინიციატივების განხორციელებისათვის საინიციატივო ჯგუფი/ ინიციატორი მიმართავს კოლეჯის დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს;

9.4. ინიციატორს ჩამოყალიბებული უნდა ქონდეს იდეა, გააზრებული ქონდეს შესრულების ვადები, ქონდეს ინფორმაცია შემსრულებლების/ჩართული პირების, საჭირო რესურსების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ინიციატორმა არგუმენტირებულად დაასაბუთოს იდეის განხორციელების საჭიროება;

9.5. კოლეჯის დირექტორი ან/და დირექტორის მოადგილე ან თვითონ იღებს გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, ან ქმნის განხილვის ჯგუფს, სადაც შესაძლოა შედიოდნენ როგორც კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ისე მოწვეული პირები. დირექტორის/დირექტორის მოადგილის თანხმობის შემთხვევაში მოხდება იდეის ფინანსური და/ან მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერა.

9.6. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შესახებ ინფორმაცია განთავსდება საჯაროობის უზრუნველსაყოფად ოფიციალურ ვებ-გვერდზე/ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში.

10. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შეფასება;

10.1. სტუდენტთა/მსმენელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შეფასება უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომლითაც შესაძლებელი ხდება დარღვევებზე რეაგირება. დაცვის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება ხდება სპეციალური ანკეტა კითხვარით, რომელსაც შეიმუშავებს ხარისხის მართვის კოორდინატორი.

10.2. ხარისხის მართვის კოორდინატორი შეისწავლის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების ეფექტურობას მისი გამოყენების სტატისტიკას, გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს, (განხილვა,

ანალიზი, რეკომენდაცია, სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაცია) რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას და საჭიროების შემთხვევაში მათ დახვეწას.

11. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

11.1. კოლეჯის კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის. აღნიშნულის დასაკმაყოფილებლად კოლეჯში სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიზნით მოქმედებს შესაბამისი სერვისები:

- მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ეხმარება საჭიროებისამებრ კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში და ა.შ.;
- პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს სთავაზობს დამატებით პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო კურსებს;
- ეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დამსაქმებელთან ურთიერთობაში თემატური შეხვედრების ორგანიზების გზით;

11.2. კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი პერიოდულად მართავს დამსაქმებლებთან შეხვედრებს, სადაც დამსაქმებლები აკეთებენ საკუთარი ორგანიზაციების წარდგენასა და დამსწრე საზოგადოებას აცნობენ, თუ რა შესაძლებლობებს თავაზობენ პოტენციურ დასაქმებულებს.

11.3. კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი წელიწადში არანაკლებ ერთჯერ ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით; საკვლევი ობიექტი ამ შემთხვევაში არის კურსდამთავრებულიც და დამსაქმებელი ორგანიზაციაც;

11.4. კვლევის მიზანია ორივე მხარესთან გარკვეული იყოს შემდეგი საკითხები: დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული; რამდენ ხანში დასაქმდა სასწავლო პროცესის დასრულებიდან; დასაქმდა თუ არა თავის სპეციალობით; კმაყოფილია თუ არა სასწავლო პროცესში მიღებული უნარჩვევებით; მიღებულ უნარ-ჩვევებს იყენებს თუ არა სამუშაო პროცესში; რა დამატებითი უნარ-ჩვევეია დამსაქმებელი ორგანიზაციის მხრიდან მოთხოვნილი.

11.5. კვლევის შედეგების შესწავლის, დამუშავებისა და ანალიზის მიზანია დაწესებულებისათვის შესაძლებელი გახდეს სწავლა-სწავლების ხარისხის სწორად შეფასება, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და შემდგომი სასწავლო პროცესის დახვეწა, რაც დაწესებულების მიერ გაწეული პროფესიული საგანმანთლებლო მომსახურების ხარისხის დახვეწას ემსახურება.

12. წესის დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

12.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით, ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია ბრძანების გამოცემის გზით.